ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1929528

ნომერი: AR1305928

თარიღი : 30.04.2015

გაცემის თარიღი : 10.06.2015

გაცნობის თარიღი : 12.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 126 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შალვა შავდია პ/ნ 01027032432
- თბილისი III მასივი X კვ. კორ. 23 ბ. 9

ორგანიზაცია:
- შპს უნიდენტი კოდი: 201953680

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი კვარაცხელია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. “უნიდენტი“

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 201953680
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ ორჯონიკიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019001314

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №880776 (ნ/09/12/307 - 03.10.2014)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.09.2013

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2013 წლის 6 სექტემბრის N880776 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 6 სექტემბერს N880776 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი - დიდუბე), დავით აღმაშენებლის გამზირის N126–ში შპს ,,უნიდენტი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაზე, მანსარდის მოწყობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაში იყო 2014 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 03.10.2014 წლის N6/09/12/307 ბრძანებით მშენებლობის ნებართვას გაუგრძელდა ვადა და ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 1 მაისამდე.
2015 წლის 30 აპრილს N AR1305928 განცხადებით მოგვმართა მოქ. შალვა შავდიამ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2013 წლის 6 სექტემბრის N880776 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელებას.
სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბერს N880776 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 1 მაისამდე", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბერს N880776 და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 03.10.2014 წლის N6/09/12/307 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.